ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №76247

ნომერი: AR129305

თარიღი : 10.03.2012

გაცემის თარიღი : 15.03.2012

გაცნობის თარიღი : 16.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი სამგორი , N 14 , (ნაკვ. 09/005) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზ ბერეჟიანი პ/ნ 01015000381
- თბილისი მტკვრის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის კონტეინერის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის ზედაპირის გასწორების სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის სსიპ მერიის თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი ისანი,სამგორის ჩიხი #14, შპს ,,ანი,,–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #009/005) I კლასის კონტეინერის განთავსებისა და მიწის ნაკვეთზე არსებული ღრმულების გამო მიწის ზედაპირის გასწორების სამუშაოების განხორციელებას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური.
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს,,ანი,,–ს მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის #882009226424, საკადასტრო კოდი #01.17.11.009.005., და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი ისანი,სამგორის ჩიხი #14, შპს ,,ანი,,–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #009/005) I კლასის კონტეინერის განთავსებისა და მიწის ნაკვეთზე არსებული ღრმულების გამო მიწის ზედაპირის გასწორების სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge